

ურთიერთგაგების მემორანდუმი  
საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და  
ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს შორის  
გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო და ჩეხეთის რესპუბლიკის  
გარემოს დაცვის სამინისტრო,

შემდგომში „მონაწილეები“,

აცნობიერებენ რა გარემოსდაცვითი საკითხების რეგიონულ და გლობალურ  
ხასიათს, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ამ საკითხების რენტაბელური და  
მდგრადი გადაჭრის გზების გამონახვის გადაუდებელ აუცილებლობას და ორი  
ქვეყნის ერთობლივი ქმედებების მნიშვნელობას;

იზიარებენ რა ვალდებულებას, განახორციელონ “გარემოსა და განვითარების  
შესახებ” რიოს დეკლარაციის “დღის წესრიგი 21”-ში მოცემული პრინციპები და  
მოქმედებენ რა 2002 წლის იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების მსოფლიო  
სამიტის საბოლოო დოკუმენტების შესაბამისად;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ გარემოსდაცვით საკითხებში ორ  
მონაწილეს შორის თანამშრომლობა მოიტანს ორმხრივ სარგებელს და ხელს  
შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

აცნობიერებენ რა პასუხისმგებლობას ახლანდელი და მომავალი  
თაობებისთვის უზრუნველყონ გარემოს უსაფრთხოება;

ივალისწინებენ რა ფაქტს, რომ მოვლენების შედეგებმა შესაძლოა იქონიონ  
ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა;

აცხადებენ შემდეგს:

მონაწილეებს სურთ, თანასწორობის და საერთო სარგებლის საფუძველზე, განავითარონ ორმხრივი თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში.

## მუხლი 2

მონაწილეები მზად არიან ითანამშრომლონ შემდეგი მიმართულებებით:

1. ეკოსისტემების მდგრადი მართვა და ბიომრავალფეროვნების დაცვა;
2. დაცული ტერიტორიების განვითარება;
3. წყლის მართვა;
4. ნარჩენების მართვა;
5. ატმოსფერული ჰაერის დაცვა;
6. კლიმატის ცვლილება;
7. მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების განხორციელება;
8. გამოცდილების გაზიარება ეროვნული პროგრამებისა და ევროკავშირის ფონდებით პროექტების დაფინანსების გზით;
9. გარემოს დამზოვი ტექნოლოგიების განვითარება, განახლებადი ენერჯო რესურსების გამოყენება, ენერჯო ეფექტურობა და ნედლეულის მოხმარების შემცირება;
10. გარემოსდაცვითი განათლება და ტრენინგები.

## მუხლი 3

თანამშრომლობა მონაწილეებს შორის უნდა გაგრძელდეს შემდეგი ფორმებით:

1. ერთობლივი პროექტების მომზადება და განხორციელება;
2. შესაბამისი გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცვლა;
3. ექსპერტების გაცვლითი ვიზიტები;
4. სემინარების და სამუშაო შეხვედრების ერთობლივი ორგანიზება.

## მუხლი 4

ხელმოწერის თარიღიდან 3 თვის განმავლობაში, ორივე მონაწილემ უნდა დანიშნოს ეროვნული კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებების კოორდინირებაზე.

## მუხლი 5

თანამშრომლობა მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება მონაწილეების ფინანსური შესაძლებლობებისა და მათივე ქვეყნების სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში. თუ სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული, მემორანდუმით გათვალისწინებული ქმედებების განსახორციელებლად საჭირო ხარჯებს თავის თავზე აიღებს თითოეული მონაწილე.

### მუხლი 6

იმის მიუხედავად, რომ ეს მემორანდუმი არ არის იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტი, ის გამოხატავს გარემოს დაცვის სფეროში მონაწილეების თანამშრომლობის საერთო ინტერესს.

ხელმოწერილია ქ. თბილისში 2011 წლის 29 აგვისტოს ინგლისურ ენაზე ორ ეგზემპლარად.

ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს  
დაცვის სამინისტროს სახელით

საქართველოს გარემოს დაცვის  
სამინისტროს სახელით

.....  
ტომაშ ხალუპა  
მინისტრი

.....  
გიორგი ხაჩიძე  
მინისტრი